ახალი ლეჩხუმი

პირველად იყო სიტყვა, და სიტყვა იყო ღმერთთან და სიტყვა იყო ღმერთი

რაიონის გამგეობისა და საკრებულოს ორგანო

რეგისტრაციის ნომერი №57/1-180

№6 (40) ივნისი, 2005 წელი

ფასი 30 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წმიდა გიორგის ხომლის ტაძრისაკენ მივაბიჯებთ...

18 ივლისს „წმიდა გიორგის ხომლის ტაძარს“ მივაბიჯებდით საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი კუთხის, ლეჩხუმის, ხვამლის სანახებისაკენ და თითოეული ნაბიჯი გვაახლოებდა უფალს...

მივდიოდით ადგილს, სადაც ვახუშტი ბაგრატიონის სიტყვებით რომ ვთქვათ „მოიგო ამან სახელი ესე სიმაღლით, ხომლის ვარსკვლავის სწორობით“.

ზღაპრულია აქაურობა, სუფთა და ლაღი, უფალივით სპეტაკი. დგას მეციხოვნედ ეს ბუნებრივი ქმნილება და ისტორიის ფურცლებს აკრავთ თავის ექვს გამოქვაბულში—„მეფეთ საგანძურთ სადებში“.

მეუფე სტეფანეს ლოცვა-კურთხევითა და რაიონის გამგებლის ბატონ თამაზ ქარსელაძის დახმარებით ხვამლის წმინდა გიორგის ტაძარში მოვხვდით, სადაც წირვა-ლოცვა მეუფე სტეფანემ აღავლინა. საოცარი მადლი გადმოდიოდა, გული ხარობდა, რადგან ყველა... ღმერთის სიახლოვეს გრძნობდა თავს.

„ხვამლობაზე“ ბევრი სტუმარი ჰყავდა ლეჩხუმს, ზოგისთვის აქ ყოფნა ტრადიციად ქცეულა, ზოგიც პირველად ილოცვიდა ამ წმინდა ადგილს...

გიორგი წულაია—საქართველოს პარლამენტის წევრი—„მე დღეს აქ პირველად ვარ, შთაბეჭდილება გრანდიოზულია, ისეთი, რომელსაც ენა ვერ გადმოსცემს. ეს ენით აღუწერელი ადგილია, აქ უდიდესი მადლია, დიდი მადლობა მეუფე სტეფანეს“.

სოსო სვანიძე—ბიზნესმენი. ყოველ ამოსვლაზე ვგრძნობ კიდევ და კიდევ დიდ ძალას უფლისას, მეხსნება ყველა სტრესი და დარდი, ყოველთვის ერთ რამეს ვთხოვ უფალს—მომავალ წელს, მომავალ „ხვამლობას“ კიდევ მომცეს ძალა აქ ამოსვლისა. ღმერთმა მრავალს დაგასწროთ ჟურნალ „ხვამლისა“ და გაზეთ „აღმსარებლებს“ რედაქცია, ცაგერის მრევლი, სრულიად საქართველო“.

წირვა-ლოცვას ბევრი სხვა სტემრებით ჰყავდა. საქართველოს პარლამენტის წევრები ვალერი გიორგობიანი, ალეკო შალამბერიძე, აკაკი ბობოხიძე, ცაგერის რაიონის გამგებელი თამაზ ქარსელაძე და სხვ.

ღმერთმა მრავალს დაგასწროთ.

მარინა სვანიძე



ვახტა ლომაია:

„სწავლების პერიოდში სტუდენტებისათვის სახელმწიფო გრანტების განსაზღვრულ რაოდენობის ამა თუ იმ თავკულტეტზე ემატება ე.წ. სოციალური პროგრამა, რომლიც ვრცელდება კონფლიქტურ რეგიონებზე, მაღალმთიანზე და ეთნიკურ უმცირესობებზე. დამატებით, დაახლოებით, 200 სახელმწიფო გრანტი განაწილდება იმ სტუდენტებზე, რომლებიც ვერ მოხვდნენ ოთხიათას საუკეთესოში, მაგრამ არიან მაღალმთიანი რაიონებიდან“...

გურამ ყურაშვილი:

„42 ოჯახის სახელოწმითი სია, სათანადო დოკუმენტაცია გაგზავნილია შესამამის უწყებებში, უკვე 19 ოჯახმა მიიღო კომპენსაცია, თითოეულმა ოჯახმა 5000 ლარი...“

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განვითარება.

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკის ძირითად მიზანს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სფეროში წარმოადგეს ამ დარგის საშუალებების ეფექტური გამოყენება, ერის გაჯანსაღების, მომავალი თაობის აღზრდისა, ცხოვრების ჯანსაღი წესის რეალურად დანერგვის საქმეში და ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენთა ღირსეული გამოსვლა საერთაშორისო სარბიელზე.

კონცეფცია მომზადებული ერთიანი ნაციონალური მოძრაობის სპორტის სამსახურის მიერ. ხელმძღვანელი: **ვალერი გიორგობიანი.**

ნაფო ნემსაძე:

„ჩვენი სამოქმედო არეალი—ეს მთელი ლეჩხუმია, საგზს ვუსვამ: მხოლოდ და მხოლოდ რაიონის ცენტრია. მინდა მოსასლეობამ იცოდეს: ჩვენი სამსახურის მობილურის ნომერია:

899 241579, დირექტორის—899 297892, ჩვეულებრივი საგზის ტელეფონის 03, რომლითაც 500 ოჯახს შეუძლია დაგვიკავშირდეს“...

განათლების მინისტრი რეგიონალური მედიის წარმომადგენლებთან

22 ივნისს თბილისში საქართველოს რეგიონალური მედიის ასოციაციის წევრთა შეკრება გაიმართა, რომლის თავმჯდომარე გახლავთ ჟურნალისტი **ია მამალაძე**. შეხვედრა მოიცავდა ასოციაციის წევრთა გაცნობა __პრეზენტაციას, თავმჯდომარის, ქალბატონ ია მამალაძის მოხსენებას, კამათს, სამუშაო პროცესს, ასოციაციის ლოგოს, ვებსაიტის პრეზენტაციას, სარეკლამო პოლიტიკის განსაზღვრას.

შეხვედრას შემოუერთდა და სამუშაო პროცესში თავისი წვლილიც შეიტანა ჟურნალისტთა საერთაშორისო ცენტრის კავკასიის ოფისის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა მარინა ვაშაყმაძემ.

ჟურნალისტებს შეხვდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ბატონი კახა ლომაია, მან ისაუბრა განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმებზე, სანამ უშუალოდ განათლების საკითხებზე ისაუბრებდა, მინისტრმა მადლობა გადაუხადა ასოციაციას ამ შეხვედრის ორგანიზებისათვის. აღნიშნა რომ ყველაზე მეტად, მოსახლეობას ადგილობრივი ახალი ამბები აინტერესებს და რამდენად კვალიფიცირებულია ადგილობრივი მედია, იმდენად მნიშვნელოვნად აყალიბებს ადგილობრივი მოსახლეობის განწყობილებებს.

მთავარ ამოცანად რეფორმების ფონზე მან დასახა ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩატარება. ამ საქმის ორგანიზებული და ტექნიკური უზრუნველყოფა გადამწყვეტ ფაზაში შევიდა, ტესტები დაიბეჭდა, ჩამოვიდა, ხდება მათი განბაჟება და განთავსება ეროვნული ბანკის საცავებში, შექმნილია სპეციალური შტაბი, სადაც სხვადასხვა სამინისტროების წარმომადგენლები შედიან, მათ შორის ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები, რომლებიც უზრუნველყოფენ გამოცდების პერიოდში აბიტურიენტთა ჯანმრთელობას, ემოციური დამუხტვის შემთხვევებში, შინაგან საქმეთა სამინისტრო, რომელიც უზრუნველყოფს წესრიგს, თუნდაც იმ მხრივ, რომ ხშირად სატელეფონო ზარებით ვრცელდება ცრუ ინფორმაცია ამა თუ იმ შენობის დანაღმვის შესახებ, ყველა საგამოცდო ცენტრის საფუძვლიანი გამოკვლევა და დალუქვა მოხდება რამდენიმე დღით ადრე, რათა ვინმე არ ეცადოს ერთიანი ეროვნული გამოცდების ხელისშეშლას.

სოფლებში მცხოვრები აბიტურიენტებისათვის გამოცდების დღეებში დაინიშნება საზოგადოებრივი ტრანსპორტი, რომელიც მათ ჩამოიყვანეს საგამოცდო ცენტრებში, რეგისტრაცია იწყება ცხრა, ხოლო გამოცდები ათ საათზე, 11 ივლისს. დემონსტრირება იქნება შიგნით მიმდინარე პროცესისა გარეთ, დამონტაჟებულ მონიტორებზე, ტელევიზიებს შეუძლიათ მონიტორებიდან მოხსნან მასალა და მისცენ თავიანთ ეთერში. ერთადერთი, რისი უზრუნველყოფაც არ მოხერხდება, სასმელი წყალია, ამიტომ პლასტიკური ბოთლებით თვით აბიტურიენტებმა შემოიტანონ წყალი, სხვა არაფერი მათ თან არ უნდა ჰქონდეთ, კალმები დაურიგდებათ იქვე, სპეციალური მელნით, რომელიც სკანერის ამოკითხვას ექვემდებარება. სიახლე ის არის, რომ მათ რეგისტრაციის დროს დაურიგდებათ თავიანთი ე.წ. „შავი" ფურცელი. მუშაობის დასრულების შემდეგ შეეძლებათ თავიანთი პასუხები გადმოიტანონ ამ ფურცლებზე და თან წამოიღონ, რათა მათ სახლში ექნეთ ანალიზის საშუალება, რადგან შედეგების გამოცხადებამდე გამოქვეყნდება ტესტის პასუხები. შედეგები არ ცხადდება სახელით და გვარით, ცხადდება იმ უნიკალური ნომრის მიხედვით, რაც ამ დროს თითოეულ აბიტურიენტს ექნება მინიჭებული. თუ აბიტურიენტი მიიჩნევს, რომ მისი შედეგი მისთვის არადამაკმაყოფილებელია, ხუთი დღის განმავლობაში შეუძლია გაასაჩივროს, აპელაცია დაწერილი უნდა იყოს მისივე ხელით, წინაღმდეგ შემთხვევაში აპელაცია არ განიხილება. აპელაციისათვის უნდა შეიტანოს 30 ლარი, აპელაციის დაკმაყოფილების შემთხვევაში თანხა დაუბრუნდება უკან.

შედეგები გამოქვეყნდება სპეციალობების მიხედვით, პირველი შედეგების გამოქვეყნების შემდგე, ე. წ. პოპულარულ სპეციალობებზე, რომელთა შორის ერთ-ერთი ლიდერი ჟურნალისტიკაა, გამოიკვეთიება ბევრი აბიტურიენტი, რომელმაც მაღალი ქულა მიიღო, მაგრამ ვერ მოხვდა მითითებულ სპეციალობებზე (კონკურსის გამო), თუ ეს ქულა იქნება გამსვლელი სხვა უმაღლესი სასწავლებლის იგივე ფაკულტეტზე, ან იგივე უმაღლესი სასწავლებლის სხვა ფაკულტეტზე, მას მიეცემა საშუალება, შეცვალოს თავდაპირველი არჩევანი და ჩაერიცხოს. თუ გადაწყვეტს, რომ ერთი წელი კიდევ დაიცადოს და უკეთ მომზადოს, ქულები ენახება მომავალი წლისთვისაც, თუ ორმა აბიტურიენტმა მიიღო ერთნაირი გამსვლელი ქულა, რაც თითქმის გამორიცხულია, ორივე ჩაირიცხება კონკურსის მიუხედავად. სწავლების პერიოდში სტუდენტებისათვის სახელმწიფო გრანტების განაზღვრულ რაოდენობას ამათუ იმ ფაკულტეტზე, ემატება ე.წ. სოციალური პროგრამა, რომელიც ვრცელდება კონფლიქტურ რეგიონებზე, მაღალმთიანებზე და ეთნიკურ უმცირესობებზე, დამატებით დაახლოებით 200 სახელმწიფო გრანტი განაწილდება იმ სტუდენტებზე, რომლებიც ვერ მოხვდნენ ოთხიათას საუკეთესოში, მაგრამ არიან მაღალმთიანი რაიონებიდან, პირველი, ვთქვათ, საუკეთესო 5 ხულოელი მიიღებს სახელმწიფო გრანტს, მერე, დავუშვათ, 6 ლეჩხუმელი და ა. შ. ე.ი. დამატებით სახელმწიფო საუკეთესოთა გარდა დაფინანსებს კონფლიქტური და მაღალმთიანი რეგიონების, აგრეთვე ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლებს.

შეხვედრაზე გაიკვლია შეკითხვამ სკოლებში სწავლის დაწყებასთან დაკავშირებით, რაზედაც მინისტრმა გვიპასუხა; რომ ეს თითოეულ რეგიონს, გუბერნიებს მიენდო გადასაწყვეტად, არჩევანს აკეთებს თვით რეგიონი, ე. ი. სწავლა შესაძლოა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში სხვადასხვა დროს დაიწყოს და დასრულდეს, მაგრამ სასწავლო და დასვენების დღეების რაოდენობა ყველგან იქნება ერთი და იგივე.

ჩვენს მიერ დასმულ კითხვაზე, არის თუ არა საშიშროება იმისა, რომ ლეჩხუმში, მაღალმთიან მხარეში, მცირეკონტიგენტიანი სკოლები და ბაღები დაიხუროს, მინისტრმა გვიპასუხა, მიუხედავად იმისა, რომ სამმოსწავლიანი და ასმოსწავლიანი სკოლა თითქმის ერთნაირი შესანახია სახელმწიფოსთვის, ყველაფერს იღონებს იმისათვის, რომ მსგავს შემთხვევას ადგილი არ ექნეს. მისთვის ცნობილია ლეჩხუმში მომხდარი სტიქიური უბედურების შესახებ და მიიჩნევს, რომ ასეთ რეგიონს მხარდაჭერა ესაჭიროება. მთა არის ჩვენი სიმდიდრე, მაგრამ გარკვეულწილად პრობლემაც__აღნიშნა მან.

ბატონმა კახამ ისაუბრა აგრეთვე განათლების განყოფილებების შესახებ, რადგან საზოგადოება გაურკვევლობაშია, იარსებებს თუ არა განათლების განყოფილებები რეგიონებში და რა ფორმით.

განათლების განყოფილებები იმ ფუნქციებით, რომელიც ჰქონდათ, არ იარსებებენ, მათ ნაცვლად გაიხსნება ე.წ. განათლების ცენტრები, (25-30 სკოლამდე), რომლის ფუნქცია იქნება არა სკოლის გაკონტროლება და ბაღის გამგის დანიშვნა (მას ნიშნავს თვითმმართველობა) არამედ სკოლებისადმი დახმარება, კონსულტაცია, მათ შორის იურიდიულ და ფინანსურ საკითხებზე და რაც მთავარია, განათლების ხარისხის კონტროლი. საოლქო ცენტრები აღარ იარსებებს.

ამ ქსელის მშენებლობას ჩვენ დავიწყებთ დამდეგი სასწავლო წლიდან, ყველა თანამშრომელი შეირჩევა კონკურსის წესით, კონკურსის შედეგების გამოცხადებამდე ყველა ძველი თანამშრომელი განაგრძობს მუშაობას. საბოლოო ჯამში. მოხდება შემცირება, მაგალითად საშუალოდ, 22-25 კაციან განყოფილებაში დარჩება 3-5-მდე თანამშრომელი, ეს, რა თქმა უნდა, ამჯერად გახლავთ ზოგადი მონახაზი.

აირჩევა აგრეთვე სკოლის დირექტორები, რაც აგრეთვე დაიწყება დამდეგი სასწავლო წლიდან ეტაპობრივად სხვადასხვა სკოლებში (მთ. ირჩევს სამეურვეო საბჭო).

კითხვაზე, თუ რამდენად ვრცელდება რეფორმა საპატრიარქოსთან არსებულ სკოლა-გიმნაზიებზე, ბატონმა კახამ გვიპასუხა, რომ პირველ რიგში ამ სკოლებმა უნდა გადაწყიტონ იმოქმედებენ საჯარო თუ კერძო სკოლის პრინციპით.

ახალი სასწავლო წლიდან დაიწყება მოსწავლეთა ვაუჩერიზაცია, 220 ლარის ოდენობით ქალაქის სკოლებში თითოეულ მოსწავლეზე, 30-50%-ით მეტი სოფლის სკოლებში.

მინისტრმა ბევრ ჩვენთვის საინტერესო კითხვას გასცა ამომწურავი პასუხი, შეგვითანხმდა ურთიერთთანამშრომლობაზე და უახლოეს მომავალში საქართველოს რეგიონალური მედიის ასოციაციის წევრ ჟურნალისტებს შეხვედრასაც შეგვპირდა, ჩვენც მკითხველს ამ და სხვა საკითხებზეც უფრო დაზუსტებულ და დახვეწილ ინფორმაციას მივაწვდით განათლების სფეროში მიმდინარე მოვლენების შესახებ.

თამარ დავითულიანი
ეკა ყვირილიანი

ერთეული გამოცდების წინ

რამდენიმე დღეში ერთიანი ეროვნული გამოცდები დაიწყება, მეცნიერებისა და განათლების მინისტრის ბატონი კახა ლომაიას თქმით ყველაფერი მზადაა.

საზოგადოება ამ პროცესთან დაკავშირებით ორად გაიყო, ეს ბუნებრივიცაა ზოგს დადებითი პოზიცია გააჩნია, ზოგს __უარყოფითი. რას ფიქრობენ ჩვენთან? რა შეხედულებები გააჩნიათ კომპეტენტურ პირებს?

ცაგერის რაიონის განათლების განყოფილების მთავარი სპეციალისტი ლელა ლომთაძე:

„განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სურვილი და აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს სურვილი, კეთილშობილური, მიგნებული და საწაღმართოა. ერთიანი ეროვნული გამოცდების შემოღებასთან დაკავშირებით, თუ მხედველობაში არ მივიღებთ „გამოუცდელობის ლაფსუსს" და თუ ყველაფერი ობიექტურად წარიმართა, ეჭვიც არ მეპარება, რომ წარიმართება, ამით წერგილი დაესმება ცოდნისა და მცოდნის შეურაცხყოფას. რაც შეეხება, ზოგადად რეფორმას, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი რამ საკამათოა, ძირითადად მისაღებია და მიმაჩნია, რომ სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიები ორიენტირებულია აწმყოს გადარჩენასა და მომავლის შენებაზე."

ცაგერის ა.ვ. გელოვანის სახელობის საშუალო სკოლის დირექტორი ნუნუ ჩაკვეტაძე:

„1 ივლისს ჩვენმა სკოლამ დაამთავრა სასწავლო წელი სახელმწიფო ალმის დამვებით, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენი სკოლის მასწავლებელთა ცხოვრებაში სიმშვიდემ დაისადგურა. პირიქით; ჩვენი ფიქრი და გონება კონცენტრირებულია 12 ივლისისაკენ. ეს დღე იმედის მომცემია ყველა ნიჭიერი, ბეჯითი და შრომისმოყვარე მოსწავლისათვის. რაგომ? ტესტების ცოდნა მოითხოვს მოსწავლის მიერ საგნების ძირფესვიან ცოდნას, ზეპირი მეტყველებისა და წერის კულტურას.

90-იანი წლების შემდეგ უმაღლეს სასწავლებლებში გაბატონებულმა კორუფციამ ბევრ ნიჭიერ მოსწავლეს გადაუკეტა გზა უმაღლესი სასწავლებლისაკენ. ასეულათასობით შავი ფული, რომლებიც უცოდინართა მშობლებს გააჩნდათ უმოწყალოდ ჩაედინებოდა გამომცდელთა ჯიბეებში და თსუ, თსსუ ფულიანთა ფუფუნებად იქცა. „ნიჭი, ძამიკო, ნიჭი"... ეს ცნობილი ფრაზა გაცვეთილად ჩაითვალა და აი, გაჩნდა იმედი, ჭკვიანმა კვლავ დაიტრაბახოს „ნიჭი"...

ჩვენი სკოლიდან 11 მოსწავლე ღებულობს მონაწილეობას ერთიან ეროვნულ გამოცდებში. სკოლის დირექცია და მასწავლებლები ხელს ვუწყობდით აბიტურიენტებს და მათ მშობლებს, რათა ყველა არსებული ინფორმაცია ერთიანი ეროვნული გამოცდების შესახებ დროზე მიგვეწოდებინა, მიმაჩნია, ცოდნა ყველაზე დიდი პრიორიტეტის და ზემოთნახსენები კორუფციის აღმოფხვრის წყარაა. მადლობა ამ იდეის ავტორებს, რადგან ათეული წლები შემდგომ პირველად წელს ეძლევათ მოსწავლეებს კვალიფიციური პედაგოგების მიერ გადაცემული ცოდნა ნამდვილად გამოიყენონ.

კიდევ ერთხელ მინდა მადლობა ვუთხრა განათლებისა და მეცნიერების მინისტრს, ჯგუფს, რომელიც ერთიანი ეროვნული გამოცდების იდეის ავტორია.

რაც შეეხება სკოლის რეფორმას__ჩვენი ქვეყნის წინსვლა დაკავშირებულია განათლების სფეროში რეფორმის სწრაფ განხორციელებასთან. სწავლებისადმი ახალი მიდგომების, ახალი ტექნოლოგიებისა და მეთოდების დანერგვა პროფესიონალს ხელეწიფება. მინისტრს, მის გუნდს საქმე იქითკენ მიჰყავს, აქ გაცემული დიპლომები ევროპულ დონეზე იქნება აღიარებული. მივესალმები კონკურსს დირექტორთა არჩევნებისას. დე, გადაწყვიტონ მშობლებმა, პედაგოგიურმა საბჭომ ვინ უკეთესია სკოლის ხელმძღვანელად. ამასთან მსურს განათლების რეფორმა მომავალში ახალგაზრდების დასაქმების გარანტად იქცეს.

ეკა ყვირილიანი

აქცია: ისევ ელექტროენერგიის მოთხოვნით

ცენტრალური ელექტროკრიზის პირობებშიც კი ჩვენს რაიონში ელექტროენერგიის პრობლემა იშვითად თუ გვიგრძვნია. შეიძლება ითქვას, რომ ლეჩხუმში ერთადერთი „წითელი წერტილი" სანათლე გახლდათ... ბოლო პერიოდში კი ელექტროენერგიის პრობლემა საკმაო მწვავე და აქტუალურია. ხუთი დღის განმავლობაში რაიონს ელექტროენერგია არ მიეწოდებოდა, რამაც შესაბამისად ხალხი ქუჩაში გამოიყვანა. 27 ივნისს კიდევ ერთი ხალხმრავალი აქცია გაიმართა რაიონული გამგეობის შენობის წინ. აქციაზე შეკრებილ მოსახლეობას შეხვდნენ: პრეზიდენტის რწმუნებელი რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში ბატონი ოთარ სირაძე, პრეზიდენტის რწმუნებულის მოადგილე.

მოსახლეობის საკმაოდ მკაცრი და პრინციპული მოთხოვნა ელექროენერგიის დაუყონებლივ ჩართვა და ინდივიდუალური აღმრიცხველების დამონტაჟება გახლდათ. ამ საკითხებზე თბილისში მუშაობდნენ ცაგერის მაჟორიტარი დეპუტატი ავთანდილ სილაგაძე და რაიონის გამგებელი თამაზ ქარსელაძე.

ხელისუფლებამ შესაბამის უწყებებთან მიაღწია შეთანხმებას, რომ 7 ივლისამდე რაიონის მოსახლეობას ელექროენერგია არ გაეთიშება. ამ პერიოდში უნდა იქნეს დამონტაჟებული ინდივიდუალური აღმრიცხველები, რის შემდეგ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადახდის შესაბამისად თითოეულ ოჯახს მიეწოდება ელექტროენერგია.

ამავე დროს მოსახლეობა დახმარებას და შეღავათებს ხელისუფლებისაგან კვლავაც ელის.

პრიორიტეტი: მოსახლეობის კომპენსაცია, მიგრაციის მართვა

სტიქიის შედეგ

სტიქიამ საქართველოს თითქმის ყველა კუთხე „მოიარა“. ქართველ კაცს მრავალფეროვანი განსაცდელების გადალახვა უწევს, უამრავი პრობლემებით შეჭირვებულ მოსახლეობას „ქვა აღმართში მიეწია“... როგორც ცენტრალური, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების დღის წესრიგში უპირველესი, უმთავრესი საკითხი სტიქიის შედეგად დაზარალებული უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობის დახმარების ღონისძიებების ოპერატიულობა დგას. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვი, რომ ოდითგანვე ჩვენი რაიონი სტიქიასთან „შეთავსებადი“ რაიონია. იშვიათად თუ მოიძებნება ლეჩხუმში ოჯახი, რომელსაც სტიქიის „სუსხი“ არ ეგრძნოს. მიმდინარე წლის მარტი-აპრილის გადაუღებელმა წვიმებმა კი ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, დაინგრა და დაიტბორა გზები, საცხოვრებელი სახლები, ხიდები, ელექტრო და კავშირგაბმულობის კომუნაკაციები. უვარგისი გახდა ათეულობით ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული...

ცაგერის რაიონის გამგებლის პირველ მოადგილეს, სტიქიისაგან მიყენებული ზარალის განმსაზღვრელი კომისიის თავმჯდომარეს ბატონ გურამ ყურაშვილს ერთი კითხვით მივმართეთ:

–ბატონო გურამ, ორ თვეზე მეტი გავიდა სტიქიური მოვლენებიდან.... წყალდიდობის მიერ მიყენებული ზარალი სახეა, საკმაოდ სავალალო მდგომარეობაა. რა ნაბიჯები გადაიდგა სტიქიის შემდეგ საქართველოს მთავრობის, ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მდგომარეობის გაუმჯობესების მხრივ?

–სტიქიურმა შემოტევამ მიმდინარე წლის მარტი-აპრილის თვეებში პიკს მიაღწია. პირველადი დახმარება დაზარალებული მოსახლეობის ადგილობრივი ხელისუფლების მოვალეობა გახლდათ. რაიონის გამგეობაში შეიქმნა შესაბამისი შტაბი, რომელსაც თავად რაიონის გამგებელი ბატონი **თამაზ ქარსელაძე** ხელმძღვანელობდა. ცენტრალური ხელისუფლების მოთხოვნის შესაბამისად ცალკე შეიქმნა სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის დადგენის, დაზარალებული კომლების აღწერის კომისია. მოსახლეობისადმი ყურადღება არ შენელებულა. აღნიშნულმა კომისიამ გეოლოგებთან და სოფლის საკრებულოს ხელმძღვანელებთან ერთად ცალკეული უბნების მიხედვით შეამოწმა და შემოიარა ყველა სოფელი, თითოეული ოჯახი.

სოფლის საკრებულოების თავმჯდომარეებმა კომისიას წარუდგინეს. ჩამონათვალი ოჯახებისა რომელიც სტიქიის შედეგად დაზიანდა და დაიტბორა. ამ კატეგორიის 1240 ოჯახია ლეჩხუმში. ამასთან უვარგისი გახდა 100 ჰ ექტრამდე სასოფლო-სამეურნეო სავარგული, დაზიანდა ცხენისწყლისა და ლაჯანურის ხეობაში როგორც ცენტრალური, ასევე შიდა სასოფლო დანიშნულების გზები, დაინგრა და დაზიანდა ხიდები, ხიდ-ბოგირები, ელექტრო და კავშირგაბმულობის ხაზები. სტიქიის დღეებში ცაგერ-ლასურიაშის გზის გატანამ უგზოდ დატოვა 15 სოფელი. ადგილობრივი ხელისუფლების ძალისხმევით შეძლებისდაგვარად შეკეთებული იქნა გზები.

სამწუხაროდ, სტიქიის შემდეგ უგზოოდ დარჩენილია შემდეგი სოფლები: დოღურაში, წილამიერი, ლაშიჭალა, უსახელო. რაც შეეხება ლეშკედა, სპათაგორი ხოჯის გზებს დროებით შეკეთებული იქნა შემოვლითი გზა სოფელ ქვედა ლაცორიიდან.

დღეს საქართველოს მთავრობის პრიორიტეტი გზებისა და ხიდების აღდგენეითი სამუშაოების ჩატარებაა. მდგომარეობის შესასწავლად ჩამოსული იყო სამთავრობო კომისიის საპროექტო ჯგუფი, რომელმაც ადგილზე დათვალიერებით შეისწავლა არსებული მდგომარეობა, რის შედეგადაც გამოყოფილი იქნა 2 420 000 ლარი. მთავრობის მიერ აღნიშნული თანხის გამოყოფაში დიდი წვლილი მიუძღვის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატს **ბატონ ავთანდილ სილაგაძეს.** როგორც ბატონმა ავთანდილმა დაგვიკონკრეტა თანხა დანაწევრდება შემდეგი მიმართულებით: ალპანა-ქუთაისის გზაზე 300 000 ლარი, ქუთაისი-წყალტუბო-ცაგერის ცენტრალური გზა 600 000 ლარი, ალპანა-ცაგერის გზა 700 000 ლარი, ლაჯანურგესის შესართავთან არსებული ნაპირსამაგრისათვის გამოყოფილია 250 000 ლარი, ცაგერის რაიონის შიდა სასოფლო გზებისათვის 520 000 ლარი, შესაბამისი ტექნიკის დაქირავებისათვის კი 50 000 ლარი. ჩვენი ინფორმაციით, აღნიშნული საკითხის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება დამთავრების ფაზაშია, უახლოეს დღეებში დაიწყება გზებზე სამუშაოების წარმოება.



რაც შეეხება სტიქიის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილ ოჯახებს, კომისიამ ცენტრალურ ხელისუფლებას წარუდგინა უსახლკაროდ დარჩენილი 57 ოჯახის სახელობითი სია, აქედან 37 ოჯახი მიმდინარე წელს დაზარალებული და „ღია ცისქვეშ“ დარჩენილია. ხოლო დარჩენილი 20 ოჯახი 1991 წლიდან მომხდარი სტიქიური მოვლენების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახებია. ამჟამად, აღნიშნულ მდგომარეობაში მყოფი 42 ოჯახის სახელობითი სია სათანადო დოკუმენტაციით გაგზავნილია შესაბამისი უწყებებში, უკვე 19 ოჯახმა მიიღო კომპენსაცია, თითოეულმა ოჯახმა 5000 ლარი. დარჩენილ ოჯახებზე შესაბამისი დოკუმენტაციის შეგროვება სრულდება, უახლოეს დღეებში მოეწოდება ცენტრალურ ხელისუფლებას განსახილველად.

დღეს მთავრობის პრიორიტეტია, არ მოხდეს მოსახლეობის მიგრაციული პროცესი, ადგილზე მოხდეს საცხოვრებელი სახლების შესყიდვა. აქვე ავღნიშნავ, რომ უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახის მიერ შესყიდულ საცხოვრებელ სახლს წინასწარ უნდა ჰქონდეს გეოლოგიური დასკვნა, რომ შენობა-ნაგებობა მდგრად ადგილზეა.

რაც შეეხება ჰუმანიტარულ ტვირთს, რომელიც სტიქიის შემდეგ შემოვიდა განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ გამგეობის ეგიდით შინაგან საქმეთა სამინისტროს თანადგომა, რომელმაც ოთხი სატვირთო მანქანით ჰუმანიტარული ტვირთი შემოიტანა. ასევე ტვირთი შემოვიდა ზესტაფონიდან **მხარეში პრეზიდენტის რწმუნებულის ბატონ ოთარ სირაძის** ხელმძღვანელობით ჰუმანიტარული ტვირთი დარიგდა უსახელოს თემის საკრებულოში. რაიონში შემოსული ტვრთის დარიგება მოხდა თექვსმეტივე საკრებულოში წარმოდგენილი სიების მიხედვით.

ეს გახლავთ ის ღონისძებები, რომელიც საქართველოს მთავრობის მიერ იქნა გაწეული უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობის დახმარების მიზნით. მართალია, ლეჩხუმელ კაცს პრობლემებს რა გამოულევს, მაგრამ ფაქტია და აქედან გამომდინარე დასკვნაც ერთია, რომ საქართველოს მთავრობის დამოკიდებულება სტიქიისაგან შეჭირვებული მოსახლეობისადმი არ შენელებულა. შეუძლებელია მთავრობის ეს მზრუნველობა დაუნახავი დარჩეს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ სტიქიის შემდეგ ასეთი ფართომასშტაბიანი დახმარება მოსახლეობისადმი პრაქტიკულად არც ერთ დროში, ასე არც ერთ მთავრობას არ განუხორციელებია. მადლობა ღმერთს, რომ ეს შეძლო საქართველოს დღევანდელმა მთავრობამ. ვფიქრობ, ეს კონკრეტული ნაბიჯი ხელისუფლებისა არის საწინდარი ქართველი კაცის იმედიანი მომავლისა.

ეკატერინე ბენდელიანი

ერთი საინტერესო კვირეული

განათლების რეფორმა თანდათან იხვეწება და თავის სახეს იღებს. ბუნებრივია, ნებისმიერ სფეროში ახალი მეთოდის დამკვიდრება გარკვეული წინააღმდეგობების გადალახვას, ჩვეულებების გადახალისებას გულისხმობს. თუ რა თქმა უნდა, ახალ მეთოდებში არ იგულისხმება ეროვნული ღირებულებების იგნორირება. რაც განსაკუთრებულ მგრძნობელობით აისახება ისეთ ფაქიზ სფეროში, როგორიც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებია.

ჩვენი მხრივ თვალ-ყურს ვადევნებთ ამ პროცესების მიმდინარეობას რაიონის სკოლებში. ამჯერად, ჩხუტელის საშუალო სკოლას ვესტუმრეთ, სადაც ნებისმიერ შემსვლელს თვალში მოხვდება საკლასო ოთახების, დერეფნების კედლებიდან კი გულმოდგინება და პასუხისმგებლობა, რასაც სასწავლო დაწესებულებაში შესაბამისად პედაგოგში იგულისხმება.

ჩხუტელის საშუალო სკოლაში უკვე რამდენიმე წელია ტრადიციად იქცა საგნობრივი კვირეულის ჩატარება. ამჯერად, საბუნებისმეტყველო საგნების (ქიმია, ბიოლოგია, გეოგრაფია) კვირეული ჩატარდა, რომლის გახსნა მოხდა მოსწავლეთა მიერ კედლის გაზეთის „ნორჩი ნატურალისტის“ გამოშვებით. კვირეულის ყოველი დღე დატვირთული გახლდათ. ჩატარდა ვიქტორინა-კონკურსი „ყველაზე ჭკვიანი ბუნებისმცოდნე“. სადაც მოსწავლეებმა საკმაოდ ხალისიან, აზარტულ, ემოციურ გარემოში წარმოადგინეს თავიანთი ცოდნის რეალიზება. კონკურსი ოთხ ტურად ჩატარდა. გამარჯვება კი IX კლასის მოსწავლემ ანა ჭიღვარიამ მოიპოვა, რომელიც სკოლის დირექციამ პრიზით დააჯილდოვა.

შემდეგი სასწავლო დღე კი საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში „მოგზაურობით“ იყო დატვირთული, რომელსაც მოსწავლეებმა „დაუსწრებელი მოგზაურობა“ უწოდეს და პოეტის სტრიქონები წარუმძღვარეს: „წევს ვეფხის ტყავზე საქართველო მზის წილხვდომილი“.

კვირეულის პროგრამით გათვალისწინებული საკმაოდ საპასუხისმგებლო დღე გახლდათ ღია გაკვეთილი ქიმიაში, რომელიც მე-7 კლასში ჩატარდა (პედაგოგი ნონა მეშველიანი). „ქიმია არის ხელოვნება, რომლის ძალით ვპოვებთ ყოვლის თვისებას ყოველთა სხეულისასა და ვსცნობთ ნივთთა მათ, რომელთაგანაც შედგენილ არს სხეული“__საკმარისია დავით ბაგრატიონის ეს სიტყვები წაიკითხო და იგრძნო უდიდესი მნიშვნელობა ქიმიის საგნის სწავლებისა. გაკვეთილი ახალი მოთხოვნებისა და მიდგომების შესაბამისად ჩატარდა: გაკვეთილს ესწრებოდნენ: სკოლის დირექტორი ბორის მიქაძე, დირექტორის მოადგილე გულო მეშველიანი, პედაგოგები. გაკვეთილზე ყველა მოსწავლე დატვირთული იყო. განსაკუთრებით თვალში მოსახვედრი გახლდათ ის, რომ მასწავლებლის დახმარებით თვითონ მოსწავლეები ნაცნობი მასალიდან უცხო ახალ მასალას თავად ხსნიდნენ, რაც ვფიქრობთ, ყველაზე მეტად ეფექტური პროცესია, რადგან თავისი „აღმოჩენილი“ მოსწავლეს არ ავიწყდება. ასეთი მიდგომით გაკვეთილის ჩატარება განაპირობებს ყველა მოსწავლის დატვირთვას, რაც ბუნებრივია, გამორიცხავს მოსწავლეთა ნაწილის აქტიურობას გაკვეთილზე, ნაწილის კი ჩრდილში მოქცევას.

შემდგომი დღე სამეცნიერო შემოქმედებითი კონფერენციით შემოიფარგლებოდა, სახელწოდებით „ადამიანი და ბუნება“.

მთელი კვირის დატვირთული მუშაობა დაგვირგვინდა ექსკურსიით ვანში, რომელიც საკმაოდ მხიარულად მოიარეს „კვირეულში“ მონაწილე მოსწავლეებმა.

ამით დასრულდა ერთი საინტერესო, მრავალფეროვანი კვირეული ჩხუტელის საშუალო სკოლაში. ახალ სასწავლო კვირას კი ამ სკოლის მოსწავლეებმა ისევ „გაგვანებივრეს“, მათ მსმენელს საოცრად დაწნეხილი ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია შესთავაზეს „იაკობი 165 წლისაა“ (პედაგოგი ივეტა რეხვიაშვილი).

ეკატერინე ბენდელიანი

მიგვარდება გზის პრობლემა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმდინარე წლის გაზაფხულზე, კოკისპირული წვიმების გამო ადიდებულმა მდინარე ცხენისწყალმა გარკვეული ზარალი მიაყენა ჩვენს რაიონს. თითქმის რამდენიმე სოფელი: ლასურიაში, მახაში, დეხვირი, დოღურაში მთლიანად მოწყვიტა ცენტრალურ მაგისტრალს. ბუნების ჭირვეულობის გამო ვერ ხერხდება გზებისა და ხიდების აღდგენა, რის გამოც პრობლემატურ საკითხად რჩება ამ სოფლებთან დაკავშირება. ანალოგიური მდგომარეობა გახლავთ წყალტუბო-ცაგერის გზის მაგისტრალზე. ზოგიერთ მონაკვეთზე თითქმის განახევრებულია სამანქანო გზა და დიდ რისკთანაა დაკავშირებული ტრანსპორტის მიმოსვლა. როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა უკვე დაიწყო გზის აღდგენითი სამუშაოები. ამ საკითხთან დაკავშირებით კომენტარის გაკეთება ვთხოვეთ საგზაო სამმართველოს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს გია სვანიძეს:

ძირითადად კეთდება ქუთაისი-წყალტუბო-ცაგერი-ლენტეხის საავტომობილო გზა. მიმდინარეობს იმ მონაკვეთების აღდგენა, რომელიც სტიქიის შედეგად იქნა დაზიანებული. სამუშაოებს ასრულებს, ჯერ-ჯერობით ჩემთვის უცნობი ფირმა, რომელმაც ტენდერში გაიმარჯვა. ფირმა აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკით და უზრუნველყოფს ყველა სახის სამუშაოს შესრულებას. აღსანიშნავია, რომ ეს ფირმა გარკვეული სახის სამუშაობს ჩვენც შეგვასრულებინებს. რაც შეეხება ცენტრალური გზის მოვლით სამუშაოებს აკეთებს მე-16 საგზაო სამმართველო. სამუშაოები ძირითადად მოიცავს ორმოულ შეკეთებას, ხრეშოვანი საფარით გადაფარვას. სტიქიისაგან დაზიანებულ ობიექტებს უშუალოდ აკეთებს ტენდერში გამარჯვებული ფირმა. ჩვენგან დამოუკიდებლად. უბრალოდ, ჩვენ პრეტენზიაც არ გვქონია, რომ შეგვესრულებინა სამუშაოები საჭირო ტექნიკის არქონისა და სხვა პრობლემების გამო, რაც შეეხება სოფელ ჭალისთავის გზის მონაკვეთს. აქ დამცავი ჯებირი ტენდერში გამარჯვებულმა ფირმა „ზიმომ“ ყოფილმა „ხიდმშენმა“ გააკეთა. ძლიერი ფირმა გახლავთ. ლენტეხში თითქმის სტიქიური ობიექტების სამუშაოები მთლიანად ამ ფირმამ შეასრულა. სახელმწიფოს მიერ დღესდღეობით ცაგერის რაიონისთვის, სტიქიის მიერ დაზიანებული გზების აღსადგენად, გამოყოფილია 2 მილიონი ლარი. თუმცა ეს ჯერ-ჯერობით ლაპარაკის დონეზეა. რომც ჩამოირიცხოს ყველა დაზიანებული გზის შეკეთებას ამ თანხით მაინც ვერ შევძლებთ. მაგ. ლაშიჭალისა და დოღურაშის გზის მონაკვეთებს.

ეკა ყვირილიანი

გასრულდა სასწავლო წელიწადი

ბოლო ზარის ზეიმზე

ცაგერის საშუალო სკოლამ **(დირექტორი ნუნუ ჩაკვეტაძე, მოადგილე ლალი ჩიქოვანი)** კიდევ ერთი გამოშვება იზეიმა მეთერთმეტეკლესელებისა როგორც წინა წლებში, ახლაც განსაკუთრებული ზეიმი იყო, ამ თაობის ყველა მახასიათებელი

კურსდამთავრებულები დალოცა ცაგერისა და ლენტეხის ეპისკოპოსმა სტეფანემ, თითოეულ მათგანს მან საჩუქრები გადასცა, ქრისტიანული, ცხოვრების ყველა საფეხურზე რომ გამოადგებათ.

ცაგერის საშუალო სკოლის დირექტორი, ქალბატონი ნუნუ ჩაკვეტაძე გულთბილად და სიყვარულით გამოემშვიდობა აღზრდილებს და დაულოცა ცხოვრების გზა.

ფრიად გაამხიარულა დარბაზი მათი პირველი მასწავლებლების, დოდო ასლანიკაშვილისა და ნინო შკუბულიანის გამოსვლამ, რომელსაც სურვილების ჩანთიდან ამოფრენილი ბავშვური და ზოგჯერ უჩვეულო სურვილების გახმაურებაც მოჰყვა.

კლასის დამრიგებლები დარეჯან გასვიანი და მაკა ბენდელიანი გულაჩუყებულნი ემშვიდობებიან ახალგაზრდებს, რომელთა აღზრდაშიც ამ ხნის მანძილზე ლომის წილი და დიდი გარჯა ჩადეს.

ამ კლასის ცნობილი მომღერალ ვაჟთა ჯგუფი ძალიან ალამაზებდა ამ საღამოს, სკოლის და კლასის სხვა მომღერალ გოგო ბიჭებთან ერთად, რუსუდან ყურაშვილისა და ნარგიზა ალავიძის აკმოპანიმენტის თანხლებით, სადამრიგებლო კლასთან ერთად, მოსწავლეების თხოვნით ქალბატონმა დარეჯანმა მიიღო მუსიკალურ ნომერში მონაწილეობა.

კურსდამთავრებულებს გზა დაულოცეს ქალაქ ცაგერის საკრებულოს თავმჯდომარემ ბეჟან ღურჭუმალიძემ, ახალგაზრდობის განყოფილების გამგემ თამილა ჭაბუკიანმა და სხვებმა.

ბედნიერი გზით გევლოთ, ძვირფასო ახალგაზრდებო!

თამარ დავითულიანი

ჯადოდან – სკოლაში

№2 საბავშვო ბაღში მორიგი ჯგუფის გამოშვების ზეიმის დაწყებამდე ქალბატონ ციური მინდიაშვილის ჯგუფში ღია გაკვეთილს დავესწარით, სადაც ბავშვების მომზადების საკმაოდ მაღალ დონეს შევხვდით. ქართულის და მათემატიკის დასაწყისი ეტაპები ბავშვებს მშვენივრად აქვთ ათვისებული.

მეცადინეობის დასრულების შემდეგ საზეიმო დარბაზში გადავინაცვლეთ, სადაც ახლა მათი მუსიკალური, ქორეოგრაფიული და მხატვრული მონაცემები უნდა გვეხილა. ლექსი, ცეკვა, მუსიკა ერთმანეთს ცვლიდა, პატარები დიდ სიამოვნებას ანიჭებდნენ ირგვილმყოფთ, სასიამოვნო იყო მათი გამოსვლა რუსულ ენაზეც.

მათ მომზადებაში უდიდესი ღვაწლი მიუძღვით პედაგოგებს ციური მინდიაშვილს, მეგი მურცხვალიძეს, ვიოლეტა მურცხვალიძეს (რუსული ენა) ლოგოპედს ელისო ცვარიანს, მეთოდისტს ლელა კვირიკაშვილს, მანანა ყურაშვილს (ფიზკულტურის მასწავლებელი), აღმზრდელის თანაშემწეს მანანა ჩიკვაიძეს, მუსიკის მასწავლებელს მზია ცხადაიას.

ზეიმის ბოლოს საბავშვო ბაღის გაგემ ციცო მუშკუდიანმა ბაღის სახელით საჩუქრები გადასცა პატარებს და იუბილარ პედაგოგებს, ქალბატონებს ლამარა ჩიქოვანსა და ციური მინდიაშვილს. იუბილარებს საჩუქრები გადასცა ბაღის ღვაწლმოსილმა პედაგოგმა, პროფკავშირების თავმჯდომარემ ქალბატონმა იზო ბობოხიძემ.

ზეიმს ესწრებოდნენ ქალაქის საკრებულოს თავმჯდომარე ბეჟან ღურჭუმალიძე, განათლების განყოფილების გამგე გულივერ ბგერვაძე და სხვა სტუმრები, მშობლები და რაც მთავარია მათი მომავალი პედაგოგები სკოლაში ეთერ კოპალინი და ჩიტო ჩაკვეტაძე, ნანი ჩარკვიანი. დიდი მადლობა ამ სასიამოვნო საღამოსათვის.

თამარ დავითულიანი

ზეიმი მოეწყო ცაგერის №1 საბავშვო ბაგა-ბაღშიდაც. ნიშანდობლივი იყო ის, რომ ამ სკოლამდელი დაწესებულების პატარების სიხარული ამაღლების დღესასწაულს დაემთხვა. სწორედ ამიტომაც ისინი ცაგერის ტაძარში ცაგერისა და ლენტეხის ეპისკოპოსმა მეუფე სტეფანემ ისტუმრა და გზა-სავალი დაულოცა. ათრთოლებული პაწია ხელებით ანათებდნენ ისინი წმინდა სანთლებს და ალბათ ბედნიერ ბავშვობას ავედრებდნენ უფალს.

ზეიმმა ბაგა-ბაღის შენობაში გადაინაცლა, სადაც პატარები ეროვნული ჰიმნის ფონზე ჩოხა-ახალუხით და ჩიხტი-კოპებით შეგვხვდნენ, სადაც ახლა ოფიციოზთან ერთად მეუფე სტეფანე იყო სტუმრად.

საოცარი ზეიმი იყო, ლაღი და ბავშვური, რისთვისაც მადლობას ვუხდით ბაგა-ბაღის გამგეს მელანო ყურაშვილს, ამ ჯგუფის პედაგოგებს ციცო სვანაძეს, მარინე ხმელიძეს და ძიძას ციცო მეშველიანს.

მრავალი თაობა დაგეფრთიანებინოთ.

მარინე სვანიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

03 გისმენთ!

რაისაავადმყოფოში მიმავალს სასწრაფო დახმარების სპეკავტომანქანა 03-მა ჩამიქროდა სირენითა და თეთრხალათიანებით, ყველამ იმედით გააყოლა თვალი...

ოფისში სასწრაფო დახმარების ექიმთა უმრავლესობა შეკრებილიყო, საქმეზე საუბრობდნენ. ამ დროს სასამსახურო მობილურში ზარი შემოვიდა. ალო! 03 გისმენთ! ახლავე მოვდივართ!—იყო ოპერატორის პასუხი. სულ რაღაც 2-3 წუთში მორიგეები ოთახიდან გაიკაფნენ და გამოძახებაზე გაეშურნენ, სხვებიც წავიდ-წამოვიდნენ და...

ჩვენი ექსკლუზივიც შედგა.

ნატო ნემსაძე:

დაამთავრა ცაგერის საშუალო სკოლა. 1992 წელს დაასრულა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი ექიმი-თერაპევტის სპეციალობით, დასპეციალდა და 5 წელია მუშაობს გინეკოლოგიაში. მიღებული აქვს სერთიფიკატი. ძალიან უყვარს ეს სფერო და მისი ღალატი წუთითაც ვერ წარმოუდგენია.

ერთ თვეზე მეტია შპს ცაგერის სასწრაფო სამედიცინო დახმარება 03-ის დირექტორია.

. . .

03-ის დაკომპლექტებას დიდი ხმაური და აჟიოტაჟი ახლდა. შემოვიდა უამრავი განცხადება, იყო კონკურენცია. ბოლოს, დალაგდა ყველაფერი, გაჩნდა 32 სამუშაო ადგილი, და, რაც მთავარია, იმედი – მოსახლეობამ მიიღო უფასო სასწრაფო სამედიცინო დახმარება.

თქვენ ამ საჭირო და მნიშვნელოვანი რგოლის ხელმძღვანელი გახდით. პირველ რიგში შეგილოცავთ და გკითხავთ: იყო თუ არა თქვენს თანამდებობაზე სხვა კანდიდატურები, თუ იყო, რა კრიტერიუმით გაიმარჯვეთ და როგორს უყურებთ ყველაფერ ამას?

1992 წლიდან ვმუშაობდი რაისაავადმყოფოს მიმღები (სასწრაფო) განყოფილების გამგედ. ამიტომაც პირველს მე შემომთავაზეს ხელმძღვანელობა...

ხომ შეიძლებოდა არ შემოეთავაზებინათ?

რა თქმა უნდა, შეიძლებოდა. სხვათაშორის, კოლეგებმა მითხრეს, თუ შენ უარს იტყვი, ჩვენ ჩავერთვებით კონკურსშიო. მაგრამ რაკი მხარი დამიჭირეს კოლექტივმა, რაიონის გამგეობამ, დეპუტატებმა, ყველამ, უარი არ მითქვამს. მადლობა ამ ნდობისთვის, ასე რომ, არანაირი წინააღმდეგობა არ შემხვედრია.

რა არის თქვენთვის ეს თანამდებობა: ტიტული, პრივილეგია თუ ტვირთი და უდიდესი პასუხისმგებლობა–მოვალეობა?

გულწრფელად გეტყვით: ნამდვილად უდიდესი ტვირთია და მოვალეობა. მაგრამ რაკი მიმუშავნია, სპეციფიკაც მესმის, მუშაობას შევუდექი. ამას, გნებავთ, პროფესიის სიყვარული დაარქვით, გნებავთ ჟინი, გნებავთ სხვა რამ.

სიტყვა „სასწრაფო“ თავისთავად დატვირთულია. რგოლის ფუნქცია-მოვალეობები თითქოს ყველამ მშვენივრად ვიცით გარეგნულად, მაგრამ კონკრეტულად, დებულებიდან გამომდინარე –გვაინტერესებს თქვენი სამოქმედო არეალი, ფუნქციები, ვალდებულებები და საერთოდ, საქმიანობა მთლიანობაში.

გვყავს 8 ექიმი. დაკომპლექტებისას უპირატესობა მივაკუთვნეთ თერაპევტებს, და ასაკსაც, უფრო ახალგაზრდები შევარჩიეთ მუშაობის სპეციფიურობიდან გამომდინარე. მედდების (სულ არის 8) შერჩევისას კრიტერიუმად ავიღეთ პრაქტიკული გამოცდილება. 4 ექთანი, რომელებიც ადრე მუშაობდნენ სასწრაფოში, უყოყმანოდ ავიყვანეთ, დანარჩენი 4-იც სტაციონარიდან გადმოვიყვანეთ. შეიძლება ამან კითხვები წარმოშვას, მაგრამ სასწრაფო, გადაუდებელი დახმარება მხოლოდ და მხოლოდ გამოცდილთა ხელში უნდა იყოს. პულტთან მუშაობს 4 ოპერატორი, 1 ექიმი და 3 მედდა. ამ ვაკანსიებზე იყო არაპროფესიონალთა განცხადებებიც, მაგრამ ვერ დავაკმაყოფილეთ. პერსონალში შედის 8 მძღოლი, 1 ბუღალტერი 1 დამლაგებელი.

რაც შეეხება სამოქმედო არეალს, ეს მთელი ლეჩხუმია, ხაზს ვუსვამ–მხოლოდ და მხოლოდ რაიონის ტერიტორია. მინდა მოსახლეობამ იცოდეს: ჩვენი სასამსახურო მობილურის ნომერია: 24-15-79; დირექტორის–29-78-92; ჩვეულებრივი, ხაზის ტელეფონის 03, რომლითაც 500 ოჯახს შეუძლია დაგვიკავშირდეს. როგორც წესი, დარეკვიდან მაქსიმუმ 5 წუთში გავდივართ გამოძახებაზე, მაგრამ ჩვენი გზების შემხედვარე, სამწუხაროდ, გვაგვიანდება ადგილებზე მისვლა.

არ მინდა არასწორად გაგვიგოს მოსახლეობამ, მაგრამ უნდა იცოდეს, რომ ზოგჯერ არის ზარები, რომელიც სასწრაფო გადაუდებელ დახმარებას არ ექვემდებარება. ამისთვის არსებობს საექიმო ამბულატორიები. ჩვენ გვაქვს ზუსტი ჩამონათვალი დაავადებების, წამლის სპეციალური პრეისკურანტიც, რომელსაც ცალკე გამოვაქვეყნებთ. ადგილზე, პაციენტთან, 1 საათით გაჩერების უფლება გვაქვს, პირველადი დახმარების შემდეგ ვტოვებთ დანიშნულებას ან ავადმყოფი გადმოგვყავს სტაციონარში. მიუხედავად ამისა, ჩვენ ყველა გამოძახებაზე გავდივართ.

დღიდან მუშაობის დაწყებისა, რამდენი ზარი დაფიქსირდა, საინტერესოა სადღეღამისო ზარის ოდენობაც.

26 მაისს შევუდექით საქმიანობას და დღემდე-დარეგისტრირებულია 271 ზარი, დღე-ღამეში კი საშუალოდ–7-8. აღვნიშნავ, რომ არც ერთი ცრუ ზარი არ შემოსულა.

ხომ არ გაქვთ თქვენი მიზეზით გაწბილებული ზარის შემთხვევა?

არა, რას ამბობთ. ის კი არა, ზოგჯერ, როცა ორივე მანქანაა გასული ხაზზე და ამ დროს შემოდის ახალი ზარი, ვუკავშირდებით მორიგეებს, რომ გაავრძელონ გზა ახალი პაციენტისაკენ.

თვეზე მეტი უკან მოიტოვეთ. იქნებ, როგორც წარმოგედგინათ მთლად ისე ვერ აეწყო ყველაფერი. რა გიქმნით დისკომფორტს: როგორია დაფინანსება, მატერიალური ბაზა, საწვავით, მედიკამენტებით უზრუნველყოფა და ა.შ.

დაფინანსება ჯერ არ მიგვიღია. მედიკამენტებს, საწვავს, სხვა აუცილებელს „ნისიად“ ვიძენთ. თანხა რომ წინასწარ, ავანსად მოგვცენ, ასეთი რამ არ ხდება.

ვფლობთ 3-4 ოთახს, რომლის ფართი საკმარისია, მაგრამ ესაჭიროება რემონტი. იგი ხარჯთაღრიცხვით 400 ლარი დაჯდება, ჯერჯერობით ბიუჯეტიდან ამ თანხის გამოყოფის საშუალება არ გამოინახა. დღეისათვის მომსახურე პერსონალი შეხიზნულია ერთ ოთახში. გამოძახებიდან დაბრუნებულ მორიგეებს ელემენტარულად იმის საშუალება არა აქვთ, რომ ერთი საათით მაინც დაისვენონ.

და მაინც, თქვენ შეგიძლიათ რაიონის ნებისმიერ წერტილში ნებისმიერ დროს გაეშუროთ ოპერატიულად?

რა თქმა უნდა. რაც შეეხება ავადმყოფის რაიონიდან გადაყვანას, ეს ჩვენს ვალდებულებებში არ შედის.

რამდენია თქვენი ხელფასი თვეში და რამდენად დააკმაყოფილებს იგი ოჯახის ძირითად მოთხოვნილებებს?

300 ლარია თვეში. დღევანდელობის ფონზე ეს სოლიდურზე სოლიდური თანხაა, მაგრამ თუ მაინც არ იქნა სამყოფი, როგორც ამბობენ, ჩვენ უნდა ვეყოთ ჯამაგირს.

ექიმთა ანაზღაურება რამდენია?

ექიმებისაც 300 ლარია.

ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროთ. ჯერ არ მიგიღიათ?

არ მიგვიღია. ამ დღეებში ამბროლაურში წარვადგენთ ანგარიშებს და ალბათ მივიღებთ.

ამბობენ, ქალი ბუნებითაააო ჭირვეული, სკანდალურიც. ხართ თუ არა მომთხოვნი, მკაცრი და თქვენის აზრით, არის თუ არა საჭირო სიმკაცრე, აკონტროლებთ თუ არა საკუთარ თავს ამ თვალსაზრისით და მოკლედ, რომ ვთქვათ, როგორ გამოგდით ხელმძღვანელობა?

ჩვენი სამსახური ისეთი რთულია და სპეციფიური, თუ მომთხოვნი არა ხარ, რა თქმა უნდა სამართლიანი, საქმე არ გამოვა. რამდენად გამომდის ხელმძღვანელობა, ამაზე სხვება უნდა თქვან, თანაც ცოტა მოგვიანებით.

მამათქვენიც და მეუღლეც ჩვენი საზოგადოების აქტიური წევრები არიან. მამათქვენი ათეული წლების მანძილზე რაიონულ გაზეთს რედაქტორობდა, მეუღლე ხელმძღვანელ-თანამდებობაზეა, როგორ შეხვდნენ ისინი თქვენს გახელმძღვანელებას, გაძლევენ თუ არა რჩევებს, შენიშვნებს და თუ ითვალისწინებთ?

რაც შეეხება გახელმძღვანელებას, დიდი სიხარული არ გამოუხატავთ, მაგრამ რაკი ასე მოხდა, გვერდით დამიდგნენ. რჩევებს?—იცოცხლეთქვა, მაძლევენ, ზოგს ვითვალისწინებ, ზოგს არა.

ყოველდღიური რუტინის შემდეგ ოჯახში „პატარა“ და 2 დიდი მამაკაცის მოვლა და დიასახლისობა გიხდებათ. ვინ გეხმარებათ?

მამა მეხმარება, იგი საოცრად თბილი და მზრუნველი ბაბუაა. ბიჭებსაც ისე უყვართ, ბაბუასთან შეუძლიათ დღედაღამ მშვიდად იყონ, მე ხომ სამშობიაროშიც მიწევს ხშირად ღამისთევა.

და მაინც: არ გებუზღუნებიან ბიჭები, არ ენატრებით?

(ამ დროს ტელეფონზე დაურეკა ერთ-ერთმა ყურმილში მოეფერა შვილებს).

მეგობრებისთვის ვეღარ იცლით ძველებურად?

ვერა, მაგრამ მაინც ვახერხებ. მათ გარეშე ვერც ჭირს გადავიტანდი და არც სიხარულში შემიძლია მარტოობა.

და ბოლო კითხვა: რას გეგმავთ მომავალში?

მინდა შევხვდე საკრებულოს ხელმძღვანელებს, საუბნო ამბულატორიების მედპერსონალს, მოვილაპარაკოთ, გავმიჯნოთ ფუნქციები. უბრალოდ ვითხოვთ მათ გვერდით დადგომას. ერთ შემთხვევას გავიხსენებ: გამოძახებაზე შევედით ერთ-ერთ სოფელში (შეგნებულად არ ვასახელებ), ვეძებთ ადრესატს, ვერ მივაგენით, ჩავრთეთ რაცია უარესი. ალბათ თუ შეშინდნენ სულ ფანჯრებიდან იჭყიტებოდნენ. ელემენტარულად სწორი დამისამართებას ვითხოვთ. ჩვენთან ხომ კადრების არ ყოლის გამო შემთავსებელი ექიმები მუშაობენ, რომლებიც დაძაბული რიტმით ცხოვრობენ და თუნდაც იმიტომ შევუწყოთ ხელი, რომ თვქენ მოგემსახურონ რიგიანად.

მინდა ხმამაღლა და მთელი პასუხისმგებლობით ვუთხრა ჩვენს საზოგადოებას, რომ 03 თქვენს უანგარო სამსახურშია.

ნატო ნემსაძე

იგი ჩვენს თვალწინ გაიზარდა და ჩამოყალიბდა, მშვენივრად ვიცნობ მის პიროვნებას, მაგრამ ხელმძღვანელის ამპლუაში პირველად ვნახე. აშკარად დადებითი მუხტით წამოვედი. იქნებ სუბიექტურობაში ჩამომერთვას და შეფასებებისაგან თავს შევიკავებ, მით უფრო, ყველაფერი წინაა, მოვლენებს არ გავუსწრებ. ერთი ფაქტია – სასწრაფო სამედიცინო დახმარების ეს ახალგაზრდა, ენერგიული კოლექტივი დღენიადაგ დადის სოფლიდან სოფელში, უბნიდან – უბანში, ოჯახიდან—ოჯახში და... დაავქს იმედი.

მზევინარ ძნელაძე

გივი ქარსელაძის მოგონება



როგორი ბედნიერი ოჯახი გქონდათ—როგორ ლამაზი შვილები გყავთ დათუნა და თამარი, სულით და ხორცით მდიდარი მეუღლე—ნარგიზა, რომლებიც ვერაფრით ვერ შეგუებიან უშენობას, ვერც ჩვენ, შენი მეგობლები ვეგუებით უშენობას—ჩვენო გივი.

რამდენი რამ გვინდა გითხრათ, მაგრამ შენმა უეცარმა გარდაცვალებამ თითქოს ყველა ფრაზა გაახუნა და აზრი დაუკარგა, ერთს კი ნამდვილად გეტყვით—შენ ბუნებით დაჯილდოებული იყავი—გარეგნობით, იუმორით, სიკეთით სავსე უანგარო, თავმდაბალი და უღალატო იყავი, რამდენი იხუმრე თურმე ბოლო, უკანასკნელ საღამოს შენს კარის მეზობლებთან, რომლებსაც მართლაც ძალიან უყვარხართ და ენატრებით.

ღრმად თანავუგრძნობთ ამ თავზარდამცემ უბედურებაში შენს ძვირფას მეუღლეს ნარგიზას და შენს შესაშურ შვილებს.

ღმერთო, ულხინე გივი ქარსელაძის ნათელ სულს.

უახლოესი მეზობლები

ცაგერის რაიონის გამგეობა და საკრებულო სამძიმარს უცხადებენ კარლო მუშკუდიანის ოჯახს

მაყვალა კვირიკაშვილი-მუშკუდიანის

გარდაცვალების გამო.

გაზეთ „ახალი ლეჩხუმის“ რედაქცია სამძიმარს უცხადებს ქალბატონ ნარგიზა ალავიძის ოჯახს

გივი ქარსელაძის

გარდაცვალების გამო.

ცაგერის სამუსიკო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობენ ნარგიზა ალავიძის ოჯახს

გივი ევგენის ძე ქარსელაძის

გარდაცვალების გამო.

გაზეთ „ახალი ლეჩხუმის“ რედაქცია სამძიმარს უცხადებს კარლო მუშკუდიანის ოჯახს

მაყვალა კვირიკაშვილი-მუშკუდიანის

გარდაცვალების გამო.

სოსო, თემურ, შურა, ვახტანგ შკუბულიანები, ომარ ბურჯალიანი, სულიკო ყურაშვილი ოჯახებით იუწყებიან

ავთო საბას ძე მეშველიანის

გარდაცვალებას.

იური ლარცულიანი, ბონდო კოპალიანი, ბადრი საღინაძე სამძიმარს უცხადებენ კარლო მუშკუდიანის ოჯახს

მაყვალა კვირიკაშვილი-მუშკუდიანის

გარდაცვალების გამო.

უახლოესი მეზობლები: ჯონი ყვირილიანი, დათო საღინაძე, მიშა, გივი მურცხვალაძეები, რაინდი ბახსოლიანი, დემურ, ზურაბ ნემსიწვერიძეები. გურამ მუშკუდიანი, მიშა ქარსელაძე, რომან კალანდაძე, ლენა ქლიბაძე, ანზორ კვირიკაშვილი, ვენერა ჩაჩხიანი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მაყვალა კვირიკაშვილი-მუშკუდიანისა

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნარგიზა ალავიძეს მეუღლის

გივი ქარსელაძის

გარდაცვალების გამო.

ლეჩხუმში ასახელეს

ქ. თბილისში ჩატარდა ფრენბურთში საქართველოს სტუდენტთა უნივერსიადის შეჯიბრება ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლების ვაჟთა გუნდებს შორის, უნივერსიადის ჩემპიონი გახდა საქართველოს სპორტის აკადემიის გუნდი, რომლის შემადგენლობაში თამაშობდნენ რაიონში უკანასკნელ წლებში აღზრდილი ფრენბურთელები — დათო ლიპარტელიანი, მამუკა მუშკუდიანი, ირაკლი ბრეგვაძე და თემურ ჭაბუკიანი (საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი—თენგიზ საღინაძე).

სასიხარულოა რომ ფრენბურთელთა სახელოვანი ტრადიციები ლეჩხუმში კვლავაც ღირსეულად გრძელდება. იმედია საქართველოს ჩემპიონატი ფრენბურთში შემოდგომაზე (თუ ადრე არა) აუცილებლად ჩატარდება და რაიონის სპორტის მესვეურთა მონდომება ფუჭად არ ჩაივლის.

„ხვამლი“ ნახევარფინალში

ვ. დარასელიას თასზე ჭაბუკთა რეგიონალური პირველობის ჯგუფურ ტურნირზე III (მესამე) საპრიზო ადგილზე გამოსული ცაგერის „ხვამლის“ ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდი აგრძელებს სანუკვარი პრიზის დაუფლებისთვის ბრძოლას.

ჩვენმა გუნდმა (მწვრთნელი: პორფილე კოპალიანი) ორ რაუნდიან ბრძოლაში—მეოთხედ ფინალში სამტრედიის „მტრედებთან“ გასვლით მატჩი 0:1 დათმო, ხოლო ცაგერში დაძაბულ ბრძოლაში მოიპოვა გამარავჯება 1:0. გოლი გაიტანა თემურ სილაგაძემ. დაინიშნა თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმები. აქ უფრო ზუსტი ჩვენი ბიჭები აღმოჩნდნენ—5:4 „ხვამლის“ სასარგებლოდ და ნახევარფინალის საგზურიც მოპოვებულია.

ქება და ქება „ხვამლის“ ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდის მთელ შემადგენლობას დიდი მონდომების, თავგანწირვისა და მშობლიური კუთხის უსაზღვრო სიყვარულისთვის.

ნახევარფინალში „ხვამლის“ მეტოქე დიდი ჯიხაიშის— „ოლიმპიკი“ იქნება.

ვუსურვებთ ჩვენს გუნდს წარმატებას.

გ. კვირიკაშვილი
სპორტკომიტეტის თავმჯდომარე

მესწავლეთა სპარტაკიადაზე

გაიმართა ზონალური შეჯიბრებები **ფეხბურთში,** რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია.

ცაგერის ზონაში ადგილები ასე განაწილდა:

I—ადგილი—ცაგერის საშუალო სკოლა.

II—ადგილი—ქვედა ცაგერის საშუალო სკოლა.

III—ადგილი—ჩხუტელის საშუალო სკოლა

ლაჯანის ზონაში ასეთი შედეგი დაფიქსირდა:

I—ადგილი—ლაჯანის საშუალო სკოლა.

II—ადგილი—ღვირიშის საშუალო სკოლა.

III—ადგილი—ორბელის საშუალო სკოლა.

სპარტაკიადის ზონალური შეჯიბრებები დამთავრდა, გაიმართება ფინალები და შეჯამდება მოსწავლეთა რაიონული პირველობის შედეგები.

ჯ. შკუბულიანი
რაიონის ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე

ნამდვილად ჭგავს ნათლით მოსილ მოძღვარს

ფიქრები მეუფე დავითთან

ამქვეყნად ყველაფერი წარმავალია, არაფერია მარადიული. წარსულიდან რაღაც მოგენატრება, გინდა დაიბრუნო, მაგრამ ამაოდ. ისევ და ისევ ფიქრებით, მხოლოდ ფიქრებით ესათუთები წარსულის ლანდებს.

უნებლიედ მახსენდება ჩემი ტაძარში დაბრუნების დღე... ღვთის დიდი სასწაული რომ ჰქვია... ჩვენს ტაძარში მეუფე დავითის დალოცვა... (მეუფე დავითი (ტიკარაძე) ამჟამად ბოდბელი ეპისკოპოსია).

მრევლი—ახალი ფეხადგმული ბავშვებივით ვიყავით, ჯერ კიდევ ბარტყებივით... ცაგერისა და სვანეთის ეპისკოპოსი დავითი, ამ ადამიანში იყო რაღაც დიდი სამყარო, რომელშიც შეღწევა არავის შეეძლო: მკაცრი—თითქოს შეუვალი, მაგრამ ნაზი და ძალიან სათნო-ამომავალი მზის სხივებივით ანათებდა მისი თვალები ჩვენს ტაძარში.

ნიჭიერებით დაჯილდოებული, ღვთის მოშიში სასულიერო პირი. თვალშისაცემი იყო მისი პიროვნული ხიბლი, რომელსაც „ბაგეთაგან სიტკბოება გადმოდიოდა“. იღვრებოდა მის ბაგეთაგან ღვთის სადიდებელი, ძალზედ ზომიერი იყო ყველაფერში. იგი ნამდვილად ჰგავს ნათლით მოსილ მოძღვარს. მან ბევრი ადამიანი აზიარა ქრისტეს ნათელს.., ღვთის ნებითა და მისი დაჟინებული მოთხოვნით ვისწავლე ხუცური... გადავიდა ჩვენი ეპარქიიდან გურული ეპისკოპოსი დავითი და დატოვა ჩვენს გულებში სითბო, სიყვარული, სინანული, მონატრება და მოგონება.

ნანული დავითულიანი-საღინაძე
ცაგერის ღვთისმშობლის ტაძრის მედავითნე

„გულითა მართლითა“

ფერილი რედაქციას

პიროვნების მთავარი საზომი მის მიერ განვლილი ცხოვრების გზაა და არაფერი ამშვენებს ამ გზას ისე, როგორც საზოგადოებრივ ცხოვრებაში (მით უმეტეს, თუ კი პოლიტიკოსი ხარ) გამოჩენილი სასახელო და კეთილი საქმეები. ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში უმალ ვრწმუნდებით, როცა ახლოს ვეცნობით და თვალს ვავლებთ პარლამენტის დეპუტატის, ჩვენი რაიონის მკვიდრის ბატონ ვალერი გიორგობიანის საზოგადოებრივ მოღვაწეობას, რაც ის ერის პოლიტიკური ცხოვრების ორომტრიალში ჩაერთო.

—„საქმემან შენმა გამოგაჩინოსო“—თქოს ბატონ ვალერიზეა ნათქვამი. აკი გამოაჩინა კიდეც კეთილი საქმეების კეთებამ, რომელსაც ის დიდი მონდომებითა და მორიდებით აკეთებს. რაც ბატონმა ვალერიმ პოლიტიკური მოღვაწეობა დაიწყო, იქიდან მოყოლებული არც ერთხელ უყურადღებოდ არ დაუტოვებია ცაგერის №1 საბავშვო ბაღის აღსაზრდელები... ყოველ სადღესასწაულო დღეებსა და საზეიმო გამოშვებებზე უდიდეს ყურადღებას ვგრძნობთ და დახმარებას ვიღებთ მისგან. მან კარგად იცის, რომ ჯანსაღი თაობის აღზრდა ერის წინსვლის აუცილებელი პირობაა, ამიტომაც არ ტოვებს უყურადღებოდ ჩვენს აღსაზრდელებს.

ბატონ ვალერის მოღვაწეობით ნათლად სჩანს, რომ უყვარს თავისი საქმე, რომელსაც ემსახურება და სწორედ ამ სიყვარულს მოაქვს გამარჯვება. ჩვენ გვწამს, რომ ის „გულითა მართლითა“ აკეთებს ჩვენი რაიონისათვის საკეთილდღეო საქმეებს და ჩვენც „გულითა მართლითა“ უდიდეს მადლობას ვუხდით მას. ჯანმრთელობას და წინსვლას ვუსურვებთ ჩვენი რაიონის საკეთილდღეოდ.

—„სმენით გესმოდეს და არა გულისხმა ჰყოთ, ხედვით ხედვიდეთ და არა იხილოთ“ (ბიბლიიდან).

მელანო ყურაშვილი
ცაგერის №1 საბავშვო ბაღის გამგე

■■■

წაიკითხე ეს ლექსი და რაც გაწვალებს,
გაგშორდება, გაგეცლება, გაყუჩდები!
დამიჯერე, შენც მოგიტანს სახლში მალე
დიდ სიხარულს ის ყვითელი მიმოზები.

გაგაჯავრე? არა უშავს, გადაიარს!
ასე კოხტას მდუმარება გშვენის განა?
სატკივარი გაატანე ქარს და ნიავს,
გაიხედე, რამდენია შენისთანა!

რამდენია, მიყვარხარო როცა უთხრეს
ტირიფივით გადააწვა სატრფოს მკლავზე,
მაგრამ ბიჭი გაქრა, გაჰყვა სადღაც ქუჩებს,
რავქნათ, კარგო, ასეც ხდება ქვეყანაზე.

ახლა დარდით ნუ ჩაიქრობ, ლამაზ თვალებს,
გაგშორდება, გაგეცლება, გაყუჩდები,
დამიჯერე, შენც მოგიტანს სახლში მალე
დიდ სიხარულს ეს ყვითელი მიმოზები!

■■■

ახლა რომ უცებ თვალი მაინც სადმე შეგავლო,
ან ხმა გავიგო, ან ზმანებამ შენმან გამივლოს,
მაშინ გეტყოდი, რომ მიყვარხარ ჩემს თავზე მეტად,
რა ვუყო, არმაქვს უფლება, რომ ვიაროთ ერთად!

დედას
შენ მე ამქვეყნად მომავლინე,
და არსებობის მომეცი შანსი,
წუხელ სიზმარშიც კი მომევლინე,
შენა ხარ ჩემი ცხოვრების არსი.

დრო გავა, მეც ალბათ ვიქნები დედა,
მაშინ გავიგებ რასაც გრძნობ ახლა,
ეს სიყვარული თან იქნება ჩემს სულთან ერთად,
ღმერთს ვევედრები შენს სიცოცხლეს
—მიყვარხარ დედა!

ირმა საღინაძე
თსუ მე-4 კურსის სტუდენტი

ფოტო გასაწყობისათვის

დღევანდელი ნომერი დასაბეჭდად მზად იყო, როცა მოულოდნელად შევიტყვეთ ჩვენი გაზეთის უანგარო ჭირისუფლის, შესანიშნავი პიროვნების, ლეჩხუმელი ნიჭიერი ჯაცის, ლაილაშის სკოლის ყოფილი დირექტორის ბატონ **ნოდარ მესხაძის** გარდაცვალება.

ჩვენ გულწრფელად თანავუგრძნობთ ჭირისუფალს.

ბატონი ნოდარ მესხაძის პიროვნების მისამართით ჩვენს განწყობას და დიდ გულისტკივილს შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ, რადგან მის მდიდარ სულსა და გულს ეს ნამდვილად ეგების.

გაზეთ „ახალი ლეჩხუმის“ რედაქცია

რედაქტორი
თამარ დავითულიანი

პასუხისმგებელი მდივანი
მზევინარ ძნელაძე

სარედაქციო კოლეგია:
ეკა ყვირილიანი, მარინა სვანიძე, ეკა ბენდელიანი

მისამართი:
ცაგერი, რუსთაველის №47 ტელ: 22-86

გაზეთი აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა ქუთაისის სს „მანდარინის სტამბაში“
ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №33
ტელ: 70780, 73499